SOME SAMPLES OF THE TEMPLE ARCHITECTURE OF THE HISTORICAL BASIANI REGION

ისტორიული „ბასიანის“ რეგიონის სატაძრო ხუროთმოძღვრების რამდენიმე ნიმუში[1]

TEIMURAZ KHUTSISHVILI
Doctor of Mathematical Science, Caucasus UniversityLecturer
Tbilisi, #1, Paata Saakadze Str., 0102 Tbilisi, Georgia
+9955595337262,
research_center@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-6287-3020

NODAR ARONISHIDZE
The George Chubinashvili National Research Centre
for Georgian Art History and Heritage Preservation - science worker,
Tbilisi, Atoneli str.,#9, 0105, Georgia,
+995555901139, nm.aronishidze@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-3706-7925

Abstract. The historical Basiani region is rich in the remains of cultural heritage - there are monuments of pre-christian megalithic culture, as well as medieval fortresses, baths, turbes and various types of religious buildings. The main topic of the research of the present article is the temple architecture of the Basiani region. It should be briefly noted that the church construction in the region is represented as both architectural objects and rock-cut complexes, although their parallel research is impossible, given their different specificities. Thus, the present article includes the research of three architectural monuments of the Bassian region - their comparative analysis, the outlining of artistic-stylistic features and architectural features, the analysis of the historical context and directly, the dating of the buildings.

It should be noted that all the monuments of temple architecture, which we have discussed, are almost completely destroyed and are characterized by partial preservation, which greatly complicates the research process - therefore, the possibility of making solid scientific conclusions. Nevertheless, within the framework of the article, it became possible to group the collected material, distinguish stylistic features, determine denominational affiliation and date the monuments.

[1] კვლევა განხორციელდა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** მიერ 2019 წელს გამოცხადებული სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – **„ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის“,** გამარჯვებული პროექტის, **„ბასიანი - მატერიალური კულტურის ძეგლების ორენოვანი ბეჭდური და ონლაინ კატალოგი“** [NFR – 19 – 12539] – ფარგლებში. პროექტი ხორციელდება **საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის** მიერ.

From several tens of buildings studied during the field-expedition works, it was possible to distinguish only three church architectural monuments, whose planning composition and architectural characteristics are more or less legible. All the monuments we have selected are examples of domed architecture and the time range of their construction is VII-XI centuries. Some of the remains are so damaged that it is not even possible to distinguish their specific typology, although it is still possible to draw certain conclusions based on the existing fragments, small remains and general proportional analysis.

Key words: Art History; Archaeology; History; Architecture; Iconic architecture; Bassian region;

თეიმურაზ ხუციშვილი
მათემატიკის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი
თბილისი, პაატა საკაძის ქ., #1, 0102, საქართველო
+9955595337262,
research_center@cu.edu.ge
https://orcid.org/0009-0005-6287-3020

ნოდარ არონიშიძე
გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი
თბილისი, ათონელი ქ., #9, 0105, საქართველო
+995555901139, nm.aronishidze@gmail.com
https://orcid.org/0009-0001-3706-7925

აბსტრაქტი. ისტორიული ბასიანის რეგიონი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის ნაშთებით - გვხვდება, როგორც წინაქრისტიანული ხანის მეგალითური კულტურის ძეგლები ისე შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები, აბანოები, თურბეები და საკულტო დანიშნულების სხვადასხვა ტიპის ნაგებობები. წინამდებარე წერილის კვლევის მთავარ თემას სწორედ ბასიანის რეგიონის სატაძრო ხუროთმოძღვრება წარმოადგენს. მოკლედ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რეგიონში საეკლესიო მშენებლობა წარმოდგენილია, როგორც არქიტექტურული ობიექტების, ისე კლდეში ნაკვეთი კომპლექსების სახით, თუმცა მათი ერთმანეთის პარალელურად კვლევა, განსხვავებული სპეციფიკის გათვალისწინებით, შეუძლებელია. ამდენად, წინამდებარე წერილი მოიცავს ბასიანის რეგიონის სამი არქიტექტურული ძეგლის კვლევას - მათ კომპარატივისტულ ანალიზს, მხატვრულ-სტილისტური ნიშნებისა და არქიტექტურული მახასიათებლების გამოკვეთას, ისტროიული კონტექსტის ანალიზს და უშუალოდ ნაგებობათა დათარიღებას.

აღსანიშნავია, რომ სატაძრო არქიტექტურის, ჩვენ მიერ განხილული, ყველა ძეგლი თითქმის სრულადაა განადგურებული და გარდამავალი დაცულობით ხასიათდება, რაც ძლიერ ართულებს კვლევის პროცესს - შესაბამისად, მყარი სამეცნიერო დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, წერილის ფარგლებში შესაძლებელი გახდა თავმოყრილი მასალის გარკვეული დაჯგუფება, სტილისტური მახასიათებლების გამოყოფა, კონფესიური კუთვნილების დადგენა და ძეგლთა დათარიღება.

საველე-საექსპედიციო სამუშაოების განმავლობაში შესწავლილი რამდენიმე ათეული ნაგებობიდან, მხოლოდ სამი საეკლესიო ხუროთმოძღვრების ძეგლის გამორჩევა გახდა შესაძლებელი, რომელთა გეგმარებითი კომპოზიცია და არქიტექტურული მახასიათებლები მეტ-ნაკლებად მაინც წაკითხვადია. ჩვენ მიერ შერჩეული ყველა ძეგლი გუმბათოვანი არქიტექტურის ნიმუშია და მათი აგების დროითი დიაპაზონი VII-XI საუკუნეებია. რამდენიმე ნაშთი იმდენად დაზიანებულია, რომ მათი კონკრეტული ტიპოლოგიის გარჩევაც კი შეუძლებელია, თუმცა არსებული ფრაგმენტების, მცირე ნაშთებისა და ზოგადპროპორციული ანალიზის მიხედვით, გარკვეული დასკვნების გამოტანა მაინც ხერხდება.

საკვანძო სიტყვები: ხელოვნების ისტორია; არქეოლოგია; ისტორია; არქიტექტურა; საკულტო ხუროთმოძღვრება; ბასიანის რეგიონი;

შესავალი. ვიდრე უშალლოდ ბასიანის სატაძრო არქიტექტურის ანალიზს შევეხებით, აუცილებლად მიგვაჩნია, განისაზღვროს თავად ისტორიული ბასიანის რეგიონის ლოკალიზაციისა და საზღვრების საკითხი. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: „ხოლო ოლთის, ნარიმანისა და იდის სამჴრით არს, ირიჯლუს მთას იქით, ბასიანი. და ესე ბასიანი თუმცა არს სომხითისა, არამედ, შემდგომად ბაგრატიონთა მეფობისა, რა დაიპყრეს მათ, არს მიერით სამცხისა. და არს ბასიანი რახსისა ანუ არაზის სათავესა ზედა. პირველად ეწოდა ქალაქსა ამისსა ბასიანი, და მის გამო ეწოდა სახელიცა ესე ამ ადგილთა. ხოლო აწ უწოდებენ მას ქალაქსა ასანყალას. და არს საშუავალ ბასიანისა, არაზის კიდესა ზედა ჩრდილო კერძ არა დიდი ქალაქი და ზღვრის ამას მასიანს: აღმოსავლეთით მთა ჩამოსული სამჴრეთის მთიდამ, რომელი არს სომხითის მთა; დასავლით - მთა ირიჯლუ-დევაბოინისა; ჩრდილოთ, მთა ირიჯლუ-ყალნუსი; სამჴრით - მთა დევაბოინიდამ წამოსული სომხითის მთა. და ადგილთა ამათ შორის მოერთვიან რახსს იმიერით და ამიერით მდინარენი მთებთაგან, და შენებულ არიან დაბნები...“ (ვახუშტი, 1941:178-179) ის, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში ბასიანის საზღვრებისა და მისი ზუსტი მდებარეობის შესახებ სრული ინფორმაცია არ მოგვეპოვება არაერთგზისაა შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა ზოგადი სახით მაინც შესაძლებელია რეგიონის მომსაზღვრელი კონტურების წარმოდგენა. ივ. ჯავახიშვილი, რომელიც არსებულ, მწირ ცნობებს ეყრდნობა, ბასიანისრეგიონის ტაოს მოსაზღვრედ, სამხრეთ-დასავლეთით განსაზღვრავს. ამასთანავე მისგანსამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა თორთუმი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთი სპერს აღწევდა (ჯავახიშვილი, 1983:67-68). დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით მეფემ „ლაშქრითა განვლო... ბასიანნი სპერამდინ...“ (ქართლის ცხოვრება, 1906:310-311).

წყაროთა შეჯერებით პროვინცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მდინარე არაქსის სათავეებთან მდებარეობდა და ისტორიული მესხეთის ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო მისი სახელწოდება „ფასიანების“ კოლხურ ტომთანაა დაკავშირებული. ძვ. წ. II საუკუნეში სომხეთის სამეფოს წარმოქმნა-გაფართოების შედეგად ბასიანი მის ფარგლებში ექცევა, ხოლო მოგვიანებით იგი შეადგენდა არარატის სამეფოს ერთ-ერთ პროვინციას. ახლო აღმოსავლეთში რომსა და ირანს შორის პოლიტიკური გავლენების გადანაწილების შედეგად 384 წლისთვის რეგიონი ამ უკანასკნელის ფარგლებში ექცევა, ხოლო უკვე VII-VIII საუკუნეებში ის არაბთა სახალიფოს ნაწილს წარმოადგენდა. ქართველთა სამეფო-სამთავროების მოძლიერების პირობებში ბასიანი ბიზანტიის იმპერიასა და „ქართველა სამეფოს“ შორის სადაო ტერიტორიად იქცევა ვიდრე ის მთლიანად ამ უკანასკნელის შემადგენლობაში არ გადადის. საყურადღებოა, რომ უკვე X საუკუნის I ნახევარში „ქართველთა სამეფოსა“ და ბიზანტიას შორის საზღვარი სწორედ მდინარე არაქსზე გაევლო, სადაც ბასიანის ჩრდილოეთი ნაწილი ბაგრატიონთა საიურიზდიქციოში განმწესდა. დავით კურაპალატის მემკვიდრეობის გამო ბიზანტიის იმპერიასთან კონფლიქტის შედეგად, 1001 წელს, იმიერ-ტაო და ბასიანი სრულად გადადის ბიზანტიის განმგებლობაში - მიუხედავად ამისა, არ შეწყვეტილა ქართველთა მხრიდან ტერიტორიის დაბრუნების მცდელობები ჯერ ბიზანტიელთაგან, ხოლო შემდგომ თურქ-სელჩუკებისგან. XII საუკუნიდან რეგიონი კვლავ ფეოდალური საქართველოს ფარგლებშია - 1203 წელს სწორედ ბასიანში სძლია ქართველთა ლაშქარმა თურქ-სელჩუკებს. 1545 წელს ტერიტორია ოსმალებმა მიიტაცეს და უკვე XVII საუკუნიდან ის ერზრუმის ვილაიეთის ერთ-ერთ სანჯაყადაა ქცეული.

კვლევის მიზანი. წინამდებარე კვლევის მიზანია ბასიანის რეგიონის სატაძრო ხუროთმოძღვრების ერთი ჯგუფის დათარიღებისათვის გარკვეული პარალელების მოძიება და ამ გზით მათი ეთნიკური თუ კონფესიური კუთვნილების განსაზღვრა. წერილი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ისტორიული ბასიანის რეგიონის საკმაოდ რთული გეო-პოლიტიკური პერიპეტიების პარალელურად, მატერიალური კულტურის მასთან შესაბამისობის რაგვარობა.

კვლევის ფარგლებში მოხმობილი სატაძრო არქიტექტურის ნიმუშები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ამ რეგიონის კულტურის პოლიტიკის რამდენიმე ფრაგმენტი, რაც რეგიონის შესახებ არსეული სამეცნიერო კვლევების ფონზე ერთგვარი შემავსებლის როლს ასრულებს. ამრიგად, წინამდებარე წერილი, ბასიანის რეგიონის შესახებ, ჩვენ მიერ რამდენიმეგის გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია თუ მონოგრაფია (ხუციშვილი, არონიშიძე, გაჩეჩილაძე, გოზალიშვილი, იმედაშვილი, კოღუაშვილი, მაისურაძე, წიქარიშვილი, 2023; ხუციშვილი, არონიშიძე, გაჩეჩილაძე, გოზალიშვილი, იმედაშვილი, კოღუაშვილი, მაისურაძე, წიქარიშვილი, 2024; შენგელია, ხუციშვილი, არონიშიძე, 2023:436-453) და დღემდე არსებული საისტორიო ცნობები თუ კვლევები, ერთიანი განხილვის კონტექსტში კიდევ უფრო მეტყველი და მარავლისმომცველი ხდება, როგორც ბასიანის ისტორიის, ისე მისი კულტურის რაგვარობის დადგენის თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდები. ბასიანის რეგიონის მატერიალური კულტურის, განსაკუთრებით სატაძრო ხუროთმოძღვრების კვლევის კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ინტერდისციპლინური კვლევითი მიდგომის პრინციპებს, რაც მეტწილად განპირობებულია თავად შემორჩენილი მემკვიდრეობის სპეციფიკითა და დაცულობის ხარისხით. რამდენადაც ბასიანის რეგიონის კულტურის ძეგლთა უმთავრესი ნაწილი თითქმის ბოლომდეა განადგურებული, ან მისი მხოლოდ მცირე ნაშთებია შემორჩენილი, კვლევის მეთოდოლოგია და მიდგომა ითვალისწინებს სწორედ ამ წინაპირობას. ამასთანავე საყურადღებოა ის გარემოება, როგორც არსებითი ფაქტორი მეთოდოლოგიის განსაზღვრისთვის, რომ აღნიშნული რეგიონის მატერიალური კულტურის სააღმშენებლო ისტორია, პირველადი წყაროების, ნარატიული, სოციალური თუ დიპლომატიური წყაროების სახით, თითქმის არ მოგვეპოვება. მოცემულ რეალობას, როგორც კვლევითი მიდგომის განსაზღვრის ერთ-ერთ არსებით ფაქტორს, ემატება ისიც, რომ უშუალოდ სატაძროს ხუროთმოძღვრების საფასადო მორთულობა-გაფორმება და ამდენად, მისი მხატვრული რაობა, ძლიერი დაზიანების გამო, საერთოდ უმეტყველოა. საეკლესიო არქიტექტურის კვლევის კონტექსტში მნიშვნელოვანი შემაფერხებელია უშუალოდ ტაძართა ინტერიერსა თუ ექსტერიერში არარსებული ლაპიდარული წარწერები.

აღნიშნულ ფაქტორთა გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს კვლევით მიდგომათა ერთგვარ სინთეზსს, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ სახელოვნებათმცოდნეო მიდგომას - ძეგლთა კომპარატივისტულ შესწავლასა და მხატვრულ-სტილისტურ ანალიზს. მოცემული მეთოდი გახლავთ ის უმთავრესი მიდგომა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ნაგებობათა წამოდგენილი ჯგუფის შესახებ მაქსიმალურად მრავლისმომცველი, მეტ-ნაკლებად მაინც ობიექტური და ტევადი ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნული მიდგომა მით უფრო მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ თურქეთის, ისტორიული ბასიანის ძეგლების შესწავლის პროცესში, რადგან ჩვენ იშვიათად თუ მოგვეპოვება ისტორიული წყაროები, სხვა ტიპის საბუთები და არქეოლოგიური გათხრების შედეგები ან ანგარიშები.

გარდა ხელოვნების საისტორიო მეცნიერებისა მეთოდოლოგიური მიდგომა გულისხმობს მატერიალური კულტურის სპეციფიკური შესწავლა-ანალიზის პარალელურად ისტორიული ფონის, წყაროებისა და მონაცემების ანალიზს, რომელიც მეტნაკლებად მაინც შეიძლება უკავშირდებოდეს შესასწავლი ობიექტების დროისა თუ გარემოს ფორმირების პროცესს. აღსანიშნავია, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იქნება, ერთი მხრივ, ბასიანის რეგიონის სატაძრო ხუროთმოძღვრების ძეგლთა ჩასახვა-განვითარების ისტორიული კონტექსტის წარმოჩენა, მეორე მხრივ კი, ნაგებობათა ამ ჯგუფის დათარიღება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ შერჩეული ყველა შესაძლო მეთოდოლოგიური მიდგომა ეფუძნება საველე სამუშაოებს, რომლის გარეშეც შეუძლებელია რაიმე ტიპის მეთოდური კვლევის ჩატარება. ამდენად, კვლევის მეთოდებისა თუ კვლევითი მიდგომის ფარგლებში უთუოდ ნაგულისხმევია მასშტაბური და ინტენსიური სავალე სამუშაოები და მისი შედეგები.

შედეგები და ანალიზი. 2022-2023 წლების ბასიანის რეგიონის საველე-საექსპედიციო სამუშაოების ფარგლებში მიკვლეულ იქნა რამდენიმე ათეული მეგალითური კულტურის ძეგლი, ასევე მრავლად გამოვლინდა შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეები, ამავე პერიოდით დათარიღებული აკლდამები, კერამიკული ნაწარმი, კლდეში ნაკვეთი კომპლექსები, საცხოვრებელი სახლები, სასაფლაოები და ა.შ. კულტურის ნაშთების დროითი განფენა აშკარად მიუთითებს მოცემული „ქვეყნის“ მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, მისი, როგორც მრავალეთნიკური თუ მულტიკულტურული არეალის განუზომლად დიდ მნიშვნელობას სამეცნიერო თვალსაზრისით. ვფიქრობთ, განსაკუთრებით საყურადღებოა უშუალოდ სატაძრო არქიტექტურის კვლევის მნიშვნელობა, როგორც რეგიონის ისტორიული პერიპეტიების ნათელყოფის, ისე დროის ამა თუ იმ მონაკვეთში მისი ეთნიკური, სოციალური თუ კონფესიური კუთვნილების დადგენის თვალსაზრისით.

ამდენად, წინამდებარე წერილის ფარგლებში განხილული იქნება ისტორიული ბასიანის რეგიონის (ფასინლერი, ქოფრუქოი, ჰორასანი), სატაძრო ხუროთმოძღვრების სამი ნიმუში, რომლებიც გარდამავალი დაცულობით ხასიათდება და მეტ-ნაკლებად მაინც შესაძლებელია მათი გეგმარებითი მახასიათებლების ამოკითხვა. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპედიციების ფარგლებში გამოვლენილ იქნა სხვა საეკლესიო ნაგებობებიც, მაგრამ მათი დიდი ნაწილი, დაზიანებათა გამო, გეგმის დონეზეც არ იკითხება, ხოლო მეორე ნაწილი კდეში ნაკვეთი კომპლექსების სახითაა წარმოდგენილი, რაც ამ ეტაპზე ჩვენი კვლევის საგანს არ წარმოადგენს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არ დაფიქსირებულა, სოფელი ქეივანქის გუმბათოვანი ტაძარია, რომელიც მდებარეობს თანამედროვე ტაშკაინაკში (ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია; Taşkaynak, PasinlerİlçesI, Erzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ცენტრის სიახლოვეს და მოქცეულია თანამედროვე განაშენიანებაში. ძეგლი საცხოვრებელი სახლების უკანაა მოქცეული და მას თანმოხვედრა, სპეციალური კიბით, ცხოველთა სადგომის სახურავზე გადავლითაა შესაძლებელი (40°01'31.14"N; 41°35'32.13"E). ტეტრაკონქი მომცრო ზომისაა და მისი გეგმარებითი მოხაზულობა კვადრატულ ფორმაში ექცევა - ამდენად, შენობის სიგრძე-სიგანე ერთმანეთის ტოლია და დაახლოებით 10 მეტრს აღწევს. (ნახ. 1) შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 6-7 მეტრი, ხოლო სისქე, მხოლოდ შემორჩენილი დუღაბის მასისა 0.6-0.7 მეტრი უნდა იყოს (სურ. 1). იკითხება ნაგებობაში შესასვლელი ორი კარი - დასავლეთით და ჩრდილოეთით, რომელთა სიგანეც სავარაუდოდ 1-1.2 მეტრი უნდა ყოფილიყო. შესასვლელთა სიმაღლის განსაზღვრა სადღეისოდ შეუძლებელია, რადგან კარის თავზე არსებული კედლის ნაწილები ჩამოშლილია (სურ. 2).

მიუხედავად შემორჩენილი ნაწილების სიდიდისა, ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული. მისი გუმბათი სრულადაა მორღვეული ისევე, როგორც შენობის შემორჩენილი ძირითადი კორპუსის პერანგი. არსებული ფრაგმენტების მიხედვით, არ იკითხება გუმბათქვეშა კონსტრუქციის (აფრები, ტრომპები) არავითარი კვალი, ხოლო ჩამოქცეული გუმბათის

მხოლოდ მცირე ნაწილებია ინტერიერში დაფიქსირებული - რეალურად ეს გახლავთერთი, საკმაოდ მოზრდილი, კედლის სეგმენტი ყოველგვარი მომპირკეთებელი წყობის გარეშე, მხოლოდ დუღაბი. აღნიშნული კედელი, იმის მიხედვით თუ რა მონაკვეთზეა ჩამოქცეული (ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე) გვაძლევს საშუალებას მივხვდეთ თუ კონკრეტულად რა ადგილას უნდა ყოფილიყო განთავსებული, თუმცა იმის განსაზღვრა, ის გუმბათის ნაწილი იყო თუ არა, ამ მდგომარეობაში შეუძლებელია. გუმბათქვეშა კონსტრუქციის, მისი საყრდენი ნაწილების ფორმათა გამორკვევა ვერ ხერხდება, თუმცა შემორჩენილი კედლების არეებზე ჩანს ერთგვარ ბუდეებად დარჩენილი მონაკვეთები, რომლებიც აფრებისა თუ ტრომპების განთავსების სავარაუდო არეალს მიუთითებს. მოცემული სიმაღლეები კი, თავის მხრივ, გვაძლევს შესაძლებლობას შენობის ძირითადი კორპუსის სიმაღლის განსაზღვრისთვის. ძეგლის საპერანგე წყობა სრულად შემოძარცულია - ინტერიერში იკითხება მხოლოდ ორი-სამი ქვა, რომლებიც კედლის ზედა მონაკვეთზეა შერჩენილი.

თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობა ოთხივე მხარეს აფსიდით უნდა ყოფილიყო დასრულებული, ხოლო აფსიდთშორისი, კუთხოვანი არეები დამატებით საფეხურს აფორმირებდა, რომელიც ინტერიერში გარდამავალ კუთხოვან სეგმენტს წარმოქმნიდა, ხოლო ექსტერიერში იმავე ფორმის გამეორებით აისახებოდა. ამრიგად, ძეგლი წარმოადგენს თავისუფალ ჯვრის ტიპის, გართულებულს აფსიდთშორისი კუთხის მონაკვეთებით. ნაგებობის შესასვლელები გაჭრილია ორ მხარეს, ჩრდილოეთით და დასავლეთით, ნახევარწრიული გეგმარების აფსიდთა ცენტრში. სადღეისოდ არსებული მონაცემების საფუძველზე რთულდება სარკმელთა ზუსტი რაოდენობის დადგენა, თუმცა მკაფიოდ ჩანს, რომ დასავლეთით სასინათლო ღიობი არ იყო. ასევე დადასტურებით შეიძლება თქმა, რომ სარკმელი გაჭრილი იყო აღმოსავლეთით, საკურთხევლის აფსიდში, რომლის პირიც ამჟამად მორღვეულია და ჩრდილოეთით, კარის თავზე, სადაც მისი ზედსართის მოხაზულობა დუღაბის ფენაშიც იკითხება. ჩვენი ვარაუდით სარკმელი უნდა ყოფილიყო დასავლეთით, ასევე კარის თავზე, თუმცა ეს უკანასკნელი, ამჟამად, აღარ ფიქსირდება. დაზიანება თაგამო, ცხადია, გუმბათს, მის ფორმებს, ზომებსა და მასში სარკმლების რაოდენობას ვერ განვსაზღვრავთ. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ-დასავლეთი და ჩრდილო-სამხრეთი ღერძი თანაბარი სიგრძისაა. ამდენად, საკურთხევლის აფსიდა იმავე პროპორციების იყო, როგორც სხვა დანარჩენი - ის არც გეგმარებითი თავისებურებით გამოირჩევა სხვათაგან. რამდენიმე ერთეულის სახით შემორჩენილი პერანგის ქვა გვაფიქრებინებს, რომ ძეგლი შემოსილი იყო საშუალო ზომის, კარგად თლილი, მოყვითალო ან რუხიფერის კვადრებით, რომელთა შორის სივრცეც დუღაბის სქელი ფენითაა შევსებული. დუღაბის ხსნარზე შერჩენილი ქვის ბუდეების მიხედვით შესაძლებელი ხდება წყობის ხასიათის და ქვის ზომების განსაზღვრა - ეს უნდა ყოფილიყო საშუალო ზომის კვადრებით შედგენილი, რიგების მეტნაკლები ჰორიზონტალურობის დაცვით ნაგები კედლები.

ცხადია ამგვარი დაცულობის ხარისხის გათვალისწინებით ნაგებობის დათარიღება ძლიერ რთულდება, თუმცა შესაძლებელია მისი გეგმარებითი კომპოზიციის გარკვეული ანალოგიების მოძიება და მათი ურთიერთშედარების გზით გარკვეული დასკვნების გაკეთება. ამგვარი დაგეგმარების საკაძრო ხუროთმოძღვრების უახლოესი ნიმუშები სომხურ

არქიტექტურაში გვხვდება, სადაც მოცემულია, როგორც პირდაპირი, ისე მეტ-ნაკლებად ახლოს მყოფი ანალოგიები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყარსის X საუკუნის გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც თითქმის ზუსტი ანალოგიის სახით წარმოგვიდგება და ხასიათდება გეგმარებითი კომპოიციის მეტად მსგავსი გადაწყვეტა-გააზრებით (ნახ. 2). ამავე კონტექსტში საყურადღებოა კიდევ რამდენიმე მსგავსი ნიმუში, რომელთა გეგმარებითი მოწყობის ზოგადი პრინციპი თანხვდება ქეივანქის ეკლესიის არქიტექტურისათვის სახასიათო გააზრებას - მათ შორის: ხარიჭი, მასტერა, ხარიჭი და ვოსკეპარი, თუმცა ყველა ამ ტაძრის შემთხვევაში ჩვენ გვხვდება აღმოსავლეთი სივრცის, ტაძრის აღმოსავლეთი სტრუქტურის დამატებითი სათავსებით გაწყობის შემთხვევა. დასახლებული ეკლესიების ბოლო სამი ნიმუში აღმოსავლეთი სივრცის მოწყობა-გააზრების თვალსაზრისით თითქმის ერთგვაროვანია - საკურთხევლის აფსიდის ორსავ მხარეს მოცემულია მცირე ზომის დამატებითი სათავსები, სამკვეთლო და სადიაკვნე, ხოლო ხარიჭში მხოლოდ ერთ მხარესაა მართკუთხა სათავსი მიშენებული.

VII საუკუნით დათარიღებული მასტერას ეკლესიის საერთო გეგმარებითი პრონციპი, სადაც ცენტრალური სივრცის აშკარა დომინირება იკითხება, მეტად ახლოსაა ქეივანქის მასშტაბურ-პროპორციული გააზრების თემასთან (ნახ. 3). ორსავ შემთხვევაში გუმბათქვეშა სივრცე განიერი და განრთხმულია. გუმბათი ტაძრის ძირითად კედლებს ეფუძნება, ხოლო შიდა სივრცის, გუმბათის წრის ესოდენ გაფართოება ქმნის ერთიან, განირ სივრცით მოცულობას. მიუხედავად საერთო პროპორციული მიმართებებისა და გუმბათქვეშა მონაკვეთის სივრცითი გადაწყვეტის ერთგვაროვნებისა, აშკარაა მნიშვნელოვანი სახესხვაობები, თუნდაც გეგმარებითი თვალსაზრისით. მასტერას ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილის სამნაწილედი გადაწყვეტა, მათ შორის, ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელია, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად ტაძრის აფსიდების წახნაგოვნებასა თუ ფასადთა მხატვრული გააზრების სპეციფიკაზე. აღსანიშნავია, რომ საკურთხევლის განიერი აფსიდის ორივე მხარეს მასტერას ეკლესიაში მოცემულია მართკუთხა გეგმარების პასტოფორიუმები, რომელთაგან ჩრდილოეთისა, სამკვეთლო აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდით სრულდება. არქიტექტურული მოცულობების, მასების გადანაწილების თვალსაზრისით საყურადღებოა ისიც, რომ მასტერას ეს მცირე სათავსები საკურთხევლის შვერილ-წახნაგოვანი აფსიდის ნახევრამდე ამოდის და, შესაბამისად, აღმოსავლეთ ფასადზე მათი სიმაღლე დიფერინცირებულია. ამდენად, მნიშვნელოვანი მხატვრული, კონსტრუქციული თუ გეგმარებითი ელემენტების სახესხვაობა ქეივანქის დაზიანებულ ეკლესიასა და მასტერას ტაძარს შორის აშკარაა, მიუხედავად მათი სივრცითი კონსტრუირების ერთგვაროვნებისა.

გეგმარებითი სიახლოვის გათვალისწინებით სახსენებელია ვოსკეპარის VII საუკუნის ეკლესიის რამდენიმე მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომლის დომინირებაც ესოდენ სხვაობას აჩენს ქეივანქსა და ამ უკანასკნელის შორის. რაღა თქმა უნდა, მოცემულ შემთხვევაშიც ერთ-ერთი მთავარი აქცენტი აღმოსავლეთი ნაწილის სტრუქტურული გააზრებაა, სადაც ვოსკეპარი, მსგავსად მასტერას ეკლესიისა, სამნაწილედი საკურთხევლის სისტემით იგება, ხოლო ქეივანქში მხოლოდ მართკუთხა უბეში მოქცეული ნახევარწრიული აფსიდია (ნახ. 4). აქვე აღსანიშნავია, რომ ვოსკეპარის ტაძრის ცენტრალური სივრცე,

გუმბათქვეშა არე არ გახლავთ განიერი, რაც აგრერიგად აახლოვებდა ერთმანრეთს მასტერასა და ქეივანქის ეკელესიის ნაშთებს. ვისკეპარის გუმბათოვანი ტაძრის აღმოსავლეთით, საკურთხევლის აფსიდის ორივე მხარეს გვხვდება მართკუთხა, დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული პასტოფორიუმის სათავსები, რომელთა აღმოსავლეთ კედელში სარკმლებია გაჭრილი. ეს სწორედ ის მნიშვნელოვანი სახესხვაობაა, რომელიც მკვეთრად განსასხვავებს მას ქეივანქის გეგმარებითი მოწყობისგან, თუმცა ამ შემთხვევაში დამატებით განმასხვავებელ ნაწილებად წარმოგვიდგება თავად აფსიდთა ფორმები და მოცულობები. ვოსკეპარის შედარებით სქელი კედლის სისტემაში გამოყვანილი ღრმა და მცირე ზომის აფსიდები, გუმბათქვეშა სივრცითი მონაკვეთის შეკუმშვასთან ერთად, ქმნის მეტად შეკრული პროპორციების ეკლესიის მოდელს, რომელიც აგრერიგად განსხვავებულია ქეივანქის ეკლესიისგან. ამას ემატება ვოსკეპარში სამხრეთი და დასავლეთი ფასადების პორტალებით გაფორმებული შესასვლელები, რაც ასევე მნიშვნელოვანი ფასადთა მხატვრულ გააზრებასა და ქვის წყობასა თუ კვადრების ზომასთან ერთად.

ქეივანის ეკლესიის გეგმარებისა თუ მხატვრული გააზრების რაგვარობისგან არსებითად განსხვავებულია, ჩვენ მიერ მასთან მეტ-ნაკლები მსგავსებით მოხსენიებული ხარიჭის VII საუკუნის გუმბათიანი ეკლესიაც (ნახ. 5). აღნიშნულ შემთხვევაში თავს იჩენს კიდევ უფრო მეტი მსხვაობარი ელემენტი, ვიდრე ეს ზემოთ განხილული ტაძრების ურთიერთშედარებისას გამოჩნდა. აქ კვლავ მთავარ მახასიათებელს აღმოსავლეთი სტრუქტურის სამნაწილედი დანაწევრების პრინციპი წარმოადგენს, რომელიც ხარიჭის შემთხვევაში ნახევარწრიული აფსიდით დასრულებული პასტოფორიუმების სახით ვლინდება. სრულებით განსხვავებულია თავად საკურთხევლის აფსიდის მოცულობითი თუ საფასადო გადაწყვეტა, დანარჩენი აფსიდების ფორმების, ზმებისა და მხატვრული გაფორმების პრინციპები, გუმბათქვეშა სივრცითი მოცულობის რაგვარობა და ტაძრის ინტერიერის გაფორმების მიდგომები. ხარიჭის შემთხვევაში გვხვდება წახნაგოვანი დასავლეთი და სამხრეთი აფსიდები, რომელთა საფასადო გადაწყეტაში მოცემულია პილასტრებზე გამართული თაღოვანი დეკორატიული სისტემა, ხოლო შესასვლელები გაფორმებულია მდიდრულად მორთული პორტიკებით. აღნიშნულისგან განსხვავებით, სრულებით სხვაგვარია ჩრდილოეთი აფსიდა, რომელიც ნახევარწრიული შვერილის სახით გამოდის ფასადზე. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ხარიჭის შემთხვევაში წახნაგოვანი ფასადის მქონე აღმოსავლეთი აფსიდა სამი სარკნლითაა განათებული, სხვაობა ქეივანქსა და ამ უკანასკნელს შორის კიდევ უფრო თვალნათელი გახდება.

ამავე კონტექსტში, ძეგლთა კომპარატივისტული ანალიზის ფარგლებში, შესაძლოა საყურადღებო ნიმუშებად მივჩინიოთ კიდევ რამდენიმე ადრეული ძეგლი, რომელთა ზოგადგეგმარებითი მოწყობის პრინციპი ახლოსაა ჩვენ მიერ საანალიზოდ შერჩეული ძეგლის, ქეივანქის გუმბათოვანი ეკლესიის დაგეგმარებასთან. ასეთებია: სუხბეჩის V-VI საუკუნეების ეკლესია (ნახ. 6), VII საუკუნის ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარი (ნახ. 7) და იმავე VII საუკუნის ბაგავანის წმ. თევდორეს ეკლესია (ნახ. 8). აღსანიშნავია, რომ მოხმობილი სამივე ძეგლის გეგმარებითი კომპოზიცია მხოლოდ ზოგადი სახით უახლოვდება ქეივანქისა და მისი უშუალო პარალელის - ყარსის კათედრალს, ხოლო მათი დეტალური შედარება, რასაც ამ

ეტაპზე აღარ განვავრცობთ, აშკარად აჩვენს მათ შორის ასებულ მნიშვნელოვა და საფუძველმდებარე განსხვავებას - სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ყველა ეს ძეგლი, განსხვავებით ყარსისა და ქეივანქისგან, შეიცავს გუმბათვეშა სვეტების ორ-ორ წყვილს, რომლებსაც გუმბათქვეშა სისტემის საშუალებით უშუალოდ ეფუძნება გუმბათის ყელი და კამარა. ამასთანავე, მნიშვნელოვან სახესხვაობას გვთავაზობს დასახელებული სამი ადრეული ძეგლისა და ქეივანქის აღმოსავლეთი სტრუქტურების ურთიერთშედარება და ანალიზი.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ არსებული პარალელების განხილვა-ანალიზის ფონზე, ქეივანქი თავისი გეგმარებით, სივრვთი ფორმირების პრინციპებით თუ გნებავთ მხატვრული გააზრების რაგვარობით, ყველაზე უფრო ახლო კავშირს მაინც ყარსის X საუკუნის გუმბათოვან ეკლესიასთან ავლენს.

მიუხედავად იმისა, რომ ქეივანქის ეკლესიასა და ყარსის კათედრალს შორისაც არსებობს გარკვეული სახესხვაობები, ეს უკანასკნელნი მაინც ერთ ჯგუფად უნდა წარმოვიდგინოთ და ეგებ, ერთი მეორის გამეორებად, ერთგვარ ასლადაც. (ვაჩეიშვილი, 2002:121-141; თუმანიშვილი, 1993:117-136) უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ყარსის გუმბათიანი ეკლესიის შვერილი აფსიდები ხუთწახნაგაა - სწორედ ეს წარმოადგენს ამ ტაძრებს შორის არსებით განსხვავებას. სხვა მხრივ, იქნება ეს გეგმარებითი სტრუქტურა, სივრცითი ორგანიზება თუ ინტერიერში გუმბათქვეშა მონაკვეთის ფორმირება, სრული თანხვედრაა. პროპორციული გადანაწილება და გუმბათქვეშა კვადრატის მიმართება აფსიდთა ზომასა თუ სიღრმესთან, ერთგვაროვანი გააზრებით ხასიათდება.აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ზემოთ განხილული ყველა ადრეული ეკლესია, რომელიც მეტ-ნაკლებად ახლოს დგას ქეივანქისა და ყარსის ტაძრებთან, ამჟღავნებს აღმოსავლეთის სტრუქტურის განსხვავებულ ფორმირებას - იკვეთება სამნაწილედი საკურთხეველი. ეს არსებითი ფაქტორი გახლავთ გეგმარებისთვის, რომელიც ფაქტიურად ცალკე მდგომ ჯგუფად გამოჰყოფს ყარსსა და ქეივანქს.

ასეთ ვითარებაში, ცხადია ჩნდება ვარაუდი, ამ ორი ტაძრის არაშემთხვევითი მსგავსების შესახებაც, რაც ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანია. თუკი აღნიშნული ლოგიკის განვითარებას მივყვებით, უნდა დავუშვათ, რომ ქეივანქის ეკლესია ყარსის კათედრალის ასლად, მის ერთგვარ „პირად“ აშენდა - აიგო მისი მიბაძვით, რასაც ამ უკანასკნელთა გეოგრაფიული სიახლოვეც არ შეუშლიდა ხელს. X საუკუნეში, ყარსში, როგორც დედაქალაქში აგებული გუმბათოვანი კათედრალი ცხადია, არაერთიი პროვინციისთვის იქნებოდა მაგალითი, რაც შუა საუკუნეების ძლიერ სახასიათო პრაქტიკას წარმოადგენდა. ისიც საყურადღებოა, რომ ქეივანქის ეკლესიის დუღაბისა და საფასადე ქვის წყობის მიმართება აშკარად არ ავლენს ადრეულობის ნიშნებს. ამ შემთხვევაში დარჩენილია სქელი დუღაბის ფენა, რომლის ფასადებზეც გამოყენებული იყო თხელი ქვის „ფილები“, ხოლო ადრეული სომხური ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს სამშენებლო ტექნიკაში, ამ მიმართების შებრუნებული ვარიაცია წარმოადგენს. ამას ემატება ქეივანქში, ალაგ-ალაგ შერჩენილი ქვების მცირე ზომები, რასაც დუღაბის ფენაში არსებული ბუდეებიც ადასტურებს. ეს მოცემულობაც ხელს უწყობს ტაძრის არა ადრეული ხანით, არამედ X-XI საუკუნეებით დათარიღების შესაძლებლობას.

ამდენად, დამატებითი ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებამდე, პირველადი დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქეივანქის ეს შედარებით მცირე ზომის ეკლესია ყარსის კათედრალის ინსპირაციით უნდა იყოს აგებული, სავარაუდოდ იმავე ეპოქაში - X საუკუნეში ან X-XI საუკუნეთა მიჯნაზე.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სატაძრო ხუროთმოძღვრების ნიმუში განთავსებული სოფელ ჰინცკში, თანამედროვე კურბანჩაირში (ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია; Kurbançayırı, PasinlerİlçesiErzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის სიახლოვეს, ცენტრიდან დაახლოებით 200 მეტრის მოშორებით, სახნავ-სათესი მინდვრების გარემოცვაში, სოფელში შემავალი ცენტრალური გზის სიახლოვეს. (40°01'45.17"N; 41°37'51.54"E). ძეგლი მოქცეულია ღია მინდორში არსებულ მცირე ტყის კორომში. ძლიერ დაზიანებული სახით შემორჩენილი ნაგებობის დაახლოებითი სიგრძე-სიგანე 8X9 მეტრია, ხოლო კედლების სიმაღლე საკმაოდ მაღალი დაცულობისაა და ზოგიერთ მონაკვეთზე 6-7 მეტრსაც აღწევს. შემორჩენილი შესასვლელი ღიობების სიგანე, არსებული მონაცემების მიხედვით, მიახლოებით 0.9-1.1 მეტრი უნდა ყოფილიყო (ნახ. 9).

მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი კვრის ტიპის ძეგლის დიდი ნაწილი მთელი სიმაღლითაა შემორჩენილი და იკითხება შენობის ძირითადი კორპუსის მასები, ნაგებობის სივრცით-გეგმარებითი თუ არქიტექტურული თავისებურებები, საკმაოდ დიდია დანაკარგის წილი (სურ. 3). უპირველესად აღსანიშნავია ჩამოქცეული გუმბათი, რომლის ფრაგმენტები ინტერიერში ნაშალი სახითაც აღარაა შემონახული. ასევე უდიდესი დანაკარგია შენობის პერანგის წყობა, რომელიც აქა-იქ მხოლოდ მცირე ფრაგმენტების სახითღა იკითხება. ინტერიერში აღარ გვხვდება არც გუმბათი და არც მისი საყრდენი ნაწილები - აფრები, ტრომპები. განირჩევა მხოლოდ ერთ მხარეს აფსიდით დასრულებული თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობის ძირითადი კორპუსი, სადაც ინტერიერში, რამდენიმე მონაკვეთზე მკლავთა დამასრულებელი კამაროვანი გადახურვის მცირე ფრაგმენტებია მოცემული. აღნიშნული მონაკვეთები საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ შენობის დაახლოებითი სიმაღლე გუმბათით, ხოლო ზუსტი პროპორციები გუმბათის გარეშე. გარდა ამისა, ძლიერ დაზიანებული სახით შემორჩენილია პერანგის წყობა ინტერიერში - განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ნაწილი საკურთხევლის აფსიდის ზედა წელზე, სადაც ჩანს მისი სრული სიმაღლედა, შესაბამისად, კონქის მონაკვეთი. შიდა სივრცეშივე იკითხება ფრაგმენტებად შერჩენილი რამდენიმე კვადრი. აქვე აღსანიშნავია, რომ შემორჩენილია შესასვლელებისა და სარკმლების მონაკვეთები, მორღვეული წირთხლებითა და წყობით (სურ. 4-5).

მომცრო ზომის, დამჯდარი პროპორციების, თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობის გუმბათი განადგურებულია, თუმცა იკითხება შენობის ჯვრული გეგმარების ქვედა კორპუსი, სადაც მკლავთა სიგანეები ერთმანეთის ტოლია. გარდა აღმოსავლეთისა, ყველა მკლავი მართკუთხა მოხაზულობისაა და გადახურული უნდა ყოფილიყო ვერტიკალურად ჩალაგებული ფილებით შედგენილი, ცილინდრული კამარით. რაც შეეხება საკურთხევლის აფსიდს, ის გეგმით ნახევარწრიული მოხაზულობისა ჩანს, რომლის ცენტრშიც გაჭრილია ასევე ნახევარწრიული თავსართით დასრულებული, შიგნით გახსნილი წირთხლების მქონე, მოზრდილი სარკმელი, რომლის ზედა მონაკვეთის პროპორციები მეტ-ნაკლებად

თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი. სარკმლის შუა მონაკვეთის ზემოთ შემორჩენილია საპირე მოპირკეთების ქვები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოყვითალო ფერის, კარგად დამუშავებულ-გათლილი კვადრები, ჰორიზონტალური რიგების დაცვით უნდა ყოფილიყო ნაწყობი. წყობის ამგვარივე ფრაგმენტები შემორჩენილია ჩრდილოეთი და სამხრეთი მკლავის რამდენიმე მონაკვეთზე, საძირკვლის დონეზე და დასავლეთი მკლავის კუთხოვან არეებზე – ხსენებული წყობის აღწერა, მოხსენიებული მონაკვეთები, გულისხმობს მხოლოდ ინტერიერს, რადგან ნაგებობის საფასადო ნაწილი სრულად შემოძარცვულია და არავითარი პერანგის კვალი იქ აღარ ფიქსირდება. შესასვლელები დაფიქსირებულია შენობის სამ მხარეს (ჩრდილოეთი, სამხრეთი, დასავლეთი), ხოლო ყველა კარის თავზე წარმოდგენილია ნახევარწრიული მოხაზულობის, შიდა პირზე გაფართოებული წირთხლების მქონე, სარკმელი, რომელთა საპირე წყობა და გარშემო არე მოშლილია – დარჩენილია მხოლოდ კედელში გაჭრილი კონტური. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, ნათლად იკითხება საფასადო ქვის წყობის ბუდეები დარჩენილი დუღაბის მასაზე, რომლის მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ წყობა შედგებოდა საშუალო ზომის კვადრების ჰორიზონტალური რიგებისგან, რომლებიც ადგილიდან დაკარგულია, თუმცა დუღაბის მასაზე მათი კვალი დაფიქსირებულია. დუღაბისა და საპირე ქვის ზომის მიხედვით ირკვევა, რომ კედლის საერთო სისქე დაახლოებით 1 მეტრი უნდა ყოფილიყო (სურ. 6). ამ ეკლესიის ადგილას შესაძლებელია ყოფილიყო ისტორიული წყაროებიდან ცნობილი გარმირვანქის მონასტერი, რომელიც გადმოცემის მიხედვით, კათალიკოს ნერსეს (I) დიდმა (IV ს.) დააარსა. ჰ. ს. ეფრიგიანის მიხედვით, მონასტერი 1828 წლისთვის ერთადერთ ძლიერ და მდიდარ ორგანიზაციას წარმოადგენდა, რომელიც XIX საუკუნის ბოლოსთვის უკვე დასუსტდა და გაღარიბდა.

თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიის, სოფელ ჰინცკის ძლიერ დაზიანებული ნაგებობის უახლოესი პარალელების მოძიება, იმავე სომხურ ხუროთმოძღვრებაში, არ იქნება რთული, თუმცა დროითი დიაპაზონის დაზუსტება ამის პარალელურად სრულებითაც არ გახლავთ იოლი. მიღებულია, რომ ამ ტიპის არქიტექტურული ნიმუშები სომხურ ხუროთმოძღვრებაში ისევე, როგორც ზოგადად სომხური არქიტექტურა, ერთგვარი „თემატური კონსერვატიზმით“ ხასიათდება. სომხეთში თავისუფალი ჯვრის ტიპის ამგვარი კომპოზიცია გვხვდება, როგორც ადრეულ ხანაში, VII საუკუნეში, ისე X-XI საუკუნეებში. თუკი აქვე იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამშენებლო მასალისა და ტექნიკის თვალსაზრისით სომხურ არქიტექტურას, იმავე „კონსერვატიზმის“ ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, ცხადი ხდება, რომ ძლიერ რთულია ძეგლის ტიპოლოგიის, მასალის, მხატვრული, კონსტრუქციული თუ ტექნიკური მახასიათებლების მიხედვით დათარიღება.

უშუალოდ ჰინცკის ტაძრის უახლოეს პარალელების სახით უნდა მოვიხმოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ძეგლი სომხური და ქართული ხუროთმოძღვრებიდან - მათ შორის, სამწევრისი, აშტარაკის კარმრავორი, შენიკი, ნორკიანკი და არჯოვითი. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ძეგლთა ნაწილი ჰინცკის უახლოესი პარალელია, ხოლო ნაწილი ტიპოლოგიური თუ გეგმარებითი ერთგვაროვნების მიუხედავად ავლენს არსებით სხვაობებსაც. პირველ რიგში გვსურს მოკლედ მოვიხილოთ სწორედ ის ჯგუფი ძეგლებისა,

სადაც თავჩენილია, ერთი შეხედვით მცირე, თუმცა არსობრივად მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშნები - ასეთებია: სამწევრისი, შენიკი და აშტარაკი, რომელთა ძირითადი გეგმარებითი პრინციპი ურთიერთმხვედრია, თუმცა თავს იჩენს პროპორციული გააზრება-გადაწყვეტის მნიშვნელოვანი ასპექტები. თუკი ჰინცკის ეკლესიის ჯვრის მკლავების სიგრძე-სიგანის შეფარდება თითქმის ტოლია, უმცირესი უპირატესობით დასავლეთ-აღმოსავლეთი ღერძისა, ყველა დასახელებულ ძეგლში ამ პროპორციული შეფარდების ცვლა, ანუ გრძივი ხაზის წამყვანობა, ძლიერ შესამჩნევია. გარდა გეგმარებითი პროპორციული სისტემისა, საყურადღებოა თავად შიდა სივრცის მოწყობა-დანაწევრება - მეტწილად აფსიდის ზომა და ფორმა, ჯვრის მკლავების ურთიერთშერწყმა, გუმბათქვეშა სივრცითი მონაკვეთის კონსტრუირება და ღიობთა გადანაწილების რაგვარობა. სწორედ აღნიშიშნული წყობითი ანალიზის ფონზე ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ ჰინცკის დაზიანებული ნაგებობა სხვაობს, როგორც (გეგმაში მკვეთრად წაგრძელებული) შენიკის ეკლესიას, ისე სამწევრისსა და აშტარაკს. ამ უკანასკნელში მნიშნელოვანია ღრმა აფსიდა და ჯვრის მკლავების შეერთების არეებზე, ინტერიერში კუთხის ნაწილებზე ერთგვარ ნახევარსვეტებად გამოსული არეები, რაც ძლიერ განსხვავებულია ჰინცკის ეკლესიის ამავე ნაწილების გააზრებისგან. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ღრმა აფსიდისა და დაგრძელებული დასავლეთი მკლავის ხარჯზე აშტარაკის VII საუკუნის ეკლესია (ნახ. 10) მკვეთრად წაგრძელებულია დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე, ხოლო ჰინცკის ეკლესიაშედარებით დამჯდარი პროპორციებით ხასიათდება - ამდენად კი, უფრო შეკრული კომპოზიციის სახითწარმოგვიდგება. თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კუთხოვან არეებზე გაჩენილი ნახევარსვეტები აშტარაკში დამატებით საფეხურსაც აჩენს, მაშინ სხვაობა კიდევ უფრო მკაფიო გახდება.

არსებითად იგივე ითქმის სამწევრისის (ნახ. 11) VII საუკუნის ძეგლისა და ჰინცკის ეკლესიის შედარების თვალსაზრისითაც, თუმცა იმ სხვაობით, რომ აშტარაკისგან განსხვავებით, აქ არ გვხვდება რღმა აფსიდი. ამის მიუხედავად, დასავლეთი უბის დაგრძელების გამო სამწევრისის სიგრძივობა მაინც საგრძნობია. სამწევრისის შემთხვევაში ისიც საყურადღებოა, რომ ჯვრის მკლავთა გადაკვეთის კუთხეებში, გუმბათქვეშა არეებზე ორსაფეხუროვანი კვეთაა, რაც არ ფიქსირდება ჰინცკში. აქვე დავაზუსტებთ, რომ ჰინცკის ჩვენ მიერ აღდგენილ გეგმაზე არ ჩანს კუთხის კვეთა, თუმცა ალბათ ერთი საფეხური უთუოდ უნდა ყოფილიყო.

ისევე, როგორც აშტარაკსა და სამწევრისში, შენიკის VII საუკუნის თავისუფალი კვრის ტიპის ეკლესიაშიც კუთხოვან არეებზე ორსართულიანი კვეთაა, ხოლო გრძივი ღერძი მკვეთრად ჭარბობს განივს, რისი მიეზიც კვლავ ძლიერ ღრმა დასავლეთი უბეა. სამივე განხილული ძეგლის შემთხვევაში ჩვენ გვხვდება ტაძარში შესასვლელი მხოლოდ ერთი კარი, ხოლო ჰინცკში გადაჭრით შეიძლება საუბარი მინიმუმ ორ შესასვლელზე, მესამე კი, ჩვენი ხედვით, დიდი ალბათობით უნდა ყოფილიყო.

ჰინცკის თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიის უახლოეს პარალელად უნდა მივჩნიოთ ასევე VII საუკუნის ჩახმახის ეკლესია (ნახ. 12), სადაც ურთიერთმსგავსება აშკარაა, როგორც გეგმარებით გააზრებაში, ისე ზოგადპროპორციულ გადაწყვეტასა და გუმბათქვეშა სისტემის გამართულობაში.

ამდენად, ჩვენ ვხედავთ თავისუფალი ჯვრის ტიპის სომხური და ქართული ამ ნიმუშებისგან განსხვავებული გააზრების მქონე ჰინცკის ეკლესიას, რომელიც, ვგონებთ მეტ სიახლოვს ავლენს ნორკიანკისა და არჯოვითის იმავე VII საუკუნის ეკლესიებთან.

ჰინცკის თავისუფალი ჯვრის ტიპის ნაგებობის დათარიღებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი, ის ძეგლებია, რომელთა პროპორციული გააზრება თუ სივრცითი მოწყობაც მეტად მხვედრ გადაწყვეტას გვთავაზობს. ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი გამორჩეულია ნორკიანკის VII საუკუნის ეკლესია (ნახ. 13), სადაც ჰინცკის მსგავსადაა გადაწყვეტილი, როგორც გუმბათქვეშა კვადრატის „დამჭერი“ კუთხოვანი არეები, ისე საკურთევლის აფსიდის სიღრმე, ზომა და მისი მიმართება ტაძრის სხვა ნაწილებთან. აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსად ჰინცკის ძლიერ დაზიანებული ეკლესიისა, ნორკიანკშიც ორი შესასვლელია, რაც ორივე ამ ტაძარს განასხვავებს ზემორე, უკვე განხილული ეკლესიებისგან. ჰინცკის ეკლესიასთან შედარებით ოდნავ დაგრძელებული ჩანს დასავლეთი მკლავი, თუმცა საერთო პროპორციული გააზრება ძეგლისა, მისი შიდა სივრცეების ურთიერთმიმართება თუ დამოკიდებულება, გუმბათქვეშა სივრცის კონსტრუირება, საკურთხევლის აფსიდისა და გვერდითი მკლავების პროპორციული მიმართება ძლიერ აახლოვებს ამ უკანასკნელს ჰინქცკის თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიასთან.

ამგვარად, ჩვენ ორივე ამ ნაგებობის ურთიერთშედარებისას მკაფიოდ ვხედავთ მსგავსი პრონციპების, მიდგომების, რეალურობას. ეს გარემოებაა სწორედ ის ფაქტორი, რომელიც ორივე შემთხვევაში გვთავაზობს შეკრული, კომპაქტური გეგმარების ნაგებობას.

შესაძლოა ამავე კონტექსტში განვიხილოთ VII კიდევ ერთი ნიმუში სომხური არქიტექტურისა, რომლის ძირითადი გააზზრების რაგვარობა ესოდენ უახლოვდება ჰინცკის ეკლესიის პროპორციულ მიდგომას - ესაა არჯოვითის ეკლესია, რეალურად ამ შემთხვევაშიც ორი შესასვლელი, არც თუ ღრმა საკურთხევლის აფსიდი და ოდნავ დაგრძელებული დასავლეთი მკლავია მოცემული. გუმბათქვეშა კვადრატის კუთხის არეები, მკლავთა გადაკვეთის მონაკვეთები აქ ისევე, როგორც ნორკიანკში და ჰინცკში ერთსაფეხუროვანი კვეთით ხასიათდება. გუმბათქვეშა სივრცის მოწყობით, აფსიდისა და დანარჩენი მკლავების ურთიერთმიმართებით თუ მკლავთა პროპორციული ურთიერთდამოკიდებულების პრინციპით, არჯოვითის ეკლესია მეტად ახლოსაა ჰინცკის ტაძრის არქიტექტურულ გააზრებასთან.

ამგვარად, კომპარატივისტული ანალიზის საფუძველზე ჩვენ დავინახეთ, რომ ჰინცკის თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესია აშკარა სიახლოვეს ავლენს VII საუკუნით დათარიღებული, ამავე ტიპის, ქართულ და, კიდევ უფრო მეტად, სომხურ არქიტექტურასთან, რაც საშუალებას გვაძლევს ძეგლიამავე დროით მონაკვეთს მოვაკუთვნოთ.

გუმბათოვანი არქიტექტურის კიდევ ერთი ნიმუშია განთავსებული სოფელ ბადიჯუინში, თანამედროვე ესენდერეში (ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია; Esendere, PasinlerİlçesiErzurum İli).

ნაგებობა მდებარეობს სოფლის ცენტრში, მთავარი გზის სიახლოვეს, დღევანდელი სამეურნეო და საცხოვრებელი „კომპლექსის“ შუაგულში (40°00'43.72"N; 41°49'11.63"E). არსებული მშენებლობებით გარემოცული შენობის შემჩნევა საკმაოდ რთულია, თუმცა

დარჩენილი, საკმაოდ მაღალი კედლების გარჩევა საცხოვრებელი სახლისგან მაინც ხერხდება. ძლიერ დაზიანებული ნაგებობისგან რამდენიმე ფრაგმენტია წარმოდგენილი, მაგრამ ეს ნაწილებიც მოქცეულია ახალი მშენებლობის არეალში ისე, რომ სახლისა და სამეურნეო შენობების დიდი ნაწილი უშუალოდაა მიდგმული ძველი ეკლესიის ნაშთებს. ამდენად, ახალი მშენებლობით დაფარული და თავისთავადაც ძლიერ დაზიანებული ძეგლის ზუსტი ზომების განსაზღვრა რთულია. სავარაუდოა, რომ მისი სიგრძე დაახლოებით 25-30 მეტრი, ხოლო სიგანე 15-20 მეტრი ყოფილიყო. დღემდე სხვადასხვა მონაკვეთზე შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს, ხოლო მათი სისქე 0.9-1.3 მეტრს შორის უნდა ყოფილიყო (სურ. 7).

საკმაოდ დიდი ზომისა და მასშტაბური ნაეკლესიარი ძლიერაა დაზიანებული. ზოგადი სახით შეიძლება ითქვას, რომ ნაგებობის დასავლეთ და ჩრდილოეთ მხარეს კედლები სრულადაა განადგურებული, ხოლო სამხრეთითა და აღმოსავლეთით სტრუქტურის ნაწილი, ძლიერ დაზიანებული სახით, მაგრამ მაინც, შემორჩენილია. სამხრეთით ვხვდებით შენობის ორ, ერთხაზზე არსებულ და ერთმანეთისგან დაცილებულ კედლის ნაშთს, რომელთა სიგრძე დამოუკიდებლად 4-5 მეტრია, ხოლო სიმაღლე 4 მეტრამდე აღწევს. ეს უნდა ყოფილიყო ტაძრის სამხრეთი კედელი, რომელიც სადღეისოდ მხოლოდ პერანგშემოცლილი დუღაბის სახითაა მოღწეული. აღმოსავლეთით კი იკითხება საკურთ-ხევლისა და მის გვერდით არსებული პასტოფორიუმების ნაშთები. აქედან სამხრეთი პასტოფორიუმი, სადიაკვნე, დაკარგულია და მხოლოდ აფსიდის სამხრეთ კედელზე შერჩენილი ბუდეების მიხედვით შეიძლება მისი ზოგადი ზომების განსაზღვრა. საკურთხეველი ნაწილობრივაა შემორჩენილი - განირჩევა აფსიდი, სადაც ქვედა ნახევარზე პერანგის წყობაცაა შემორჩენილი და მის ჩრდილოეთ მხარეს არსებული სამკვეთლო, რომელში შესასვლელიც არ არსებობს ძეგლის ღია მხრიდან. საკურხევლის აფსიდი და მისი მიმდებარე კედლები მეტი დაცულობით ხასიათდება - აღნიშნულ მონაკვეთზე კედლების სიმაღლე 5-6 მეტრს აღწევს. აფსიდა შუამონაკვეთზე გახსნილია, სადაც ჩამოშლილია წყობის ის ნაწილი, სადაც სარკმელი უნდა ყოფილიყო მოწყობილი. ასევე დაკარგულია კონქი და საერთოდ აფსიდის ზედანახევრის მომპირკეთებელი წყობა. შუა ზეგახლეჩილი აფსიდის ქვედა კედელი მოგვიანო წყობით სანახევროდაა შევსებული. ჩრდილოეთი პასტოფორიუმი, სამკვეთლო სრულადაა დაფარული თანამედროვე მშენებლობით - დასავლეთიდან მას მიდგმული აქვს სახლი, ხოლო აღმოსავლეთიდან სამეურნეო დანიშნულების სათავსი. ამდენად, მასში მოხვედრა მეპატრონის გარეშე შეუძლებელი შეიქნა და საბოლოოდ ვერც მოხერხდა. შესაძლებელი გახდა მხოლოდ საკურთხევლის აფსიდში, მის ჩრდილოეთ რკალში არსებული ღრუს საშუალებით სამკვეთლოს დათვალიერება, საიდანაც გამოჩნდა ამ უკანასკნელის უაღრესად საყურადღებო გეგმარება და კედლის მოპირკეთებული წყობა. სამკვეთლო სადღეისოდ სამეურნეო დანიშნულებითაა გამოყენებული, ისევე, როგორც საკურთხეველი, სადაც წვრილფეხა ცხოველთა სადგომია მოწყობილი (სურ. 8).

არსებული მდგომარეობის მიხედვით, გადაჭრით ძნელია ნაგებობის თავდაპირველი გეგმარების ზედმიწევნით ზუსტი აღდგენა - შესაბამისად, რთულია ძეგლის ტიპის განსაზღვრა. უდიდესი ალბათობით, საქმე უნდა გვქონდეს გუმბათოვანი არქიტექტურის

ნიმუშთან, რომლისგანაც მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია შემორჩენილი. რთულია მსჯელობა შენობის ძირითადი კორპუსის, მისი გეგმისა და სივრცითი მოწყობის შესახებ, მაგრამ გადარჩენილი ფრაგმენტები საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ ნაგებობის აღმოსავლეთი სტრუქტურა და განვსაზღვროთ მისი ზოგადი სახე. ამრიგად, აღმოსავლეთით არსებული ნაწილების მიხედვით გამოდის, რომ ცენტრში მოცემულია დიდი, ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდა, რომლის ორ მხარესაც მოწყობილია პასტოფორიუმები. როგორც უკვე შევნიშნეთ, სადიაკვნე იმდენადაა დანგრეული, რომ მისი გეგმარების აღდგენაც კი შეუძლებელია, თუმცა შემორჩენილი სამკვეთლოს მიხედვით მისი აღდგენა არ წარმოადგენს სირთულეს. სამკვეთლოს სათავსი თითქმის სრული სახითაა მოცემული, სადაც ჩანს მისი გეგმარება - ეს გახლავთ ჯვრის ფორმაზე განვითარებული სათავსი, რომლის აღმოსავლეთი მხარე აფსიდით სრულდება, ხოლო დანარჩენი სამი მკლავი, თითო საფეხურით, მცირედაა ჩანაკვეთი კედლის სივრცეში, რაც სათავსს ჯვრის ფორმის გეგმარებას აძლევს (სურ. 9-10). მოცემული „მოწყობა“ წარმოადგენს თავისუფალი ჯვრის ტიპის ეკლესიის შიდა სივრცის მინიმოდელს, სადაც აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე წაგრძელებული მცირე სათავსის ერთ მხარეს ნახევარწრიული აფსიდია, ხოლო მის მოპირდაპირედ მასში შემავალი კარი. ეს უკანასკნელი სადღეისოდ არ იკითხება, რადგან მას პირდაპირ ებჯინება მიშენებული სახლის კედელი. ის, რომ სათავსში შესასვლელი ერთადერთი კარი უთუოდ სამკვეთლოს დასავლეთ კედელში იყო მოწყობილი დასტურდება ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლების სრული დაცულობის მიხედვით, სადაც არავითარი ღიობი არაა განთავსებული. რაც შეეხება აღმოსავლეთ კედელს, ნახევარწრიულ აფსიდას, მისი ქვედა ნაწილი, რაღაც დროს ჩამოშლილ იქნა, ხოლო ამჟამად, მოგვიანო კედელია ამოყვანილი, შიგნით გაჭრილი კარით. შესასვლელის დატანის შესაძლებლობა მხოლოდ დასავლეთით რჩება და ის სწორედ ამ არეზე უნდა ყოფილიყო, რომლის საშუალებითაც ეს უკანასკნელი ტაძრის ცენტრალურ კორპუსს, მის გვერდით მკლავს დაუკავშირდებოდა. შემორჩენილი სამკვეთლო მაღალი დაცულობისაა, სადაც ფიქსირდება, როგორც ზოგად-სივრცითი გადაწყვეტა, ისე მისი მხატვრული გაფორმება და ქვისმოპირკეთება. სათავსის კედლები შემოსილია რუხი ფერის, კარგად თლილი და ოსტატურად დამუშავებული, საშუალო ზომის კვადრებით, სადაც დაცულია რიგების ჰორიზონტალურობა. გადარჩენილია აფსიდის კონქის წყობა, რომლის თავზეც მოცემულია ნახევარწრიული ფორმის ორსაფეხუროვანი თაღი, ხოლო მის თავზე მცირე შვერილობის შუბლი. ანალოგიური გადაწყვეტისაა სამივე მკლავი, თუმცა იმ განსხვავებით, რომ მათში თაღები მხოლოდ ერთსაფეხუროვანია. ყველა თაღი კუთხის არეებზე ნაკვეთ, პროფილირებულ თარო-კაპიტელს ეყრდნობა, ხოლო ჯვრული კამარის ცენტრალურ ღერძებზე, სათავსის გეგმარების დამხრობით, მოცემულია მცირე სიმაღლის, სპეციალურად შერჩეულ-მორგებული ქვის წყობით გამოყვანილი, რელიეფური ჯვარი. ვფიქრობთ, რომ ანალოგიური გადაწყვეტის უნდა ყოფილიყო სადიაკვნეც, სადაც მხოლოდ მცირე ფრაგმენტები მიუთითებს ამას. რაც შეეხება ტაძარს, მთავარ კორპუსს და მის მიმართებას აღმოსავლეთით შემორჩენილ სამნაწილედ საკურთხეველთან, ეს სამომავლო კვლევის საგანია.

ძლიერი დაზიანების მიუხედავად შესაძლებელი ხდება გარკვეული დასკვნების გაკეთება, რომელიც ნაგებობის ზოგად-გეგმარებით საკითხს და მის დათარიღებას შეეხება.

აღმოსავლეთით შემორჩენილი სტრუქტურის, სამნაწილედი საკურთხევლის და მისი მოწყობის პრინციპების, მიხედვით დგინდება, რომ ნაგებობა გუმბათოვანი უნდა ყოფილიყო. გარდა ამისა, სამხრეთი კედლის შემორჩენილი ნაწილის მიმართების მიხედვით, აღმოსავლეთით დაფიქსირებულ ნაწილებთან, თვალსაჩინო ხდება შენობის საერთო მასშტაბი. დასახელებული მონაკვეთები, მათი გეგმარებითი თავისებურება, სივრცითი კონსტრუირება, შემორჩენილ სათავსთა დამოუკიდებელი სივრცით-გეგმარებითი გააზრება, კედლების თაღოვანი სისტემები, კაპიტელებისა და კონქის გადაწყვეტა თუ შემორჩენილ არეებზე ქვის წყობა გვაფიქრებინებს, რომ საქმე უნდა გვქონდეს შუასაუკუნეების გუმბათოვანი არქიტექტურის გამორჩეულ ნიმუშთან.

როგორც ძეგლის აღწერიდან ჩანს, ნაგებობა ძლიერაა დაზიანებული და მისგან მხოლოდ აღმოსავლეთი მონაკვეთია გადარჩენილი - ისიც მხოლოდ ნაწილობრივ. ძეგლის გეგმარებითი სტრუქტურის კონტურული მონახაზი გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ცენტრალურგუმბათოვანი არქიტექტურის ნიმუშთან, რომლის ტიპოლოგიური განსაზღვრის შესაძლებლობას გვაძლევს ჩრდილო-ეღმოსავლეთით დარჩენილი პასტოფორიუმი. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ გვაქვს არქიტექტურული თვალსაზრისით მეტად ინფორმაციული მონაკვეთი, ვიდრე სამკვეთლო სატავსია, რომლის პირდაპირი ანალოგიების ნიმუშადაც სომხური არქიტექტურის ორი ადრეული ძეგლი გვევლინება - ესენია: ბაგავანი და მრენი. ასევე მნიშვნელოვანია ოძუნის ეკლესიის გარშემოსავლელის სახრეთ-აღმოსავლეთი სათავსი, რომელიც გარკვეულ კავშირს ავლენს ბადიჯუინის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოთახის გეგმარებით თავისებურებასთან, თუმცა გვხვდება გარკვეული სვაობები. ოძუნის შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ ჯვრის გეგმარების, მარტივი პროფილირების სათავსს, რომლის აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლებშიც თითო სარკმელია გაჭრილი, ხოლო დასავლეთ კედელში მოცემულია შესასვლელი ღიობი, რომლითაც ეს უკანასკნელი გალერეას უკავშირდება. განსხვავებთ ბადიჯუინისგან, ოუნში არ ფიქსირდება აღმოსავლეთი კედლის ნახევარწრიული აფსიდი, რაც რეალურად არსებითი ნიშანია. პასტოფორიუმების ამგავრი გადაწყვეტა, ანუ ჯვრის გეგმარების სათავსი აღმოსავლეთი აფსიდით, წარმოადგენს პრინციპში ერთადერთ გასაღებს ბადიჯუინის გუმბათოვანი ტაძრის დათავრიღებისა თუ მისი ტიპოლოგიის განსაზღვრისთვის. სწორედ ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაგავანის ცენტრალურგუმბათოვანი არქიტექტურის ნიმუშის ჩრდილო-აღმოსავლეთ სათავსს, რომელიც არსებითათ იმავე ტიპისაა, როგორსაც ჩვენ ვხვდებით ბადიჯუინის შემთხვევაში. ორივე ეს ნიმუში წარმოგვიდგენს ჯვრის გეგმარების სათავსს აღმოსავლეთი აფსიდით, რომელსაც დასავლეთიდან აქვს შესასვლელი კარი, რომლითაც ის ნაგებობის ცენტრალურ ნაწილს უკავშირდება. ბაგავანის წმ. იოანე ნათლისმცემლის VII საუკუნის ეკლესია (ნახ. 14), განსხვავებით ბადიჯუინისგან მოქცეულია ნახევრადშვერილ აფსიდებში აღმოსავლეთ ფასადზე საკურთხევლისა და პასტოფორიუმების აფსიდები ნახევრადშვერილი და წახნაგოვანი ფორმით გამოდის, ხოლო აფსიდთშორისი არე სამკუთხა სახითაა გადაწყვეტილი. რაც შეეხება ბადიჯუინს, არსებული მონაცემებისა და დაცულობის მიხედვით არ ჩანს აღმოსავლეთი ფასადის გადაწყვეტის ფორმა. ჩვენ ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც ბაგავანში თუ მრენში, აქაც ყოფილიყო შვერილი აფსიდი ან აფსიდები.

იმ ნაწილების ურთიერთშედარების საფუძველზე, რომლებიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბადიჯუინის ელესიის საერთო გეგმრებითი გააზრება-გადაწყვეტაც სწორედ ბაგავანის გუმბათოვანი ეკლესიის ტიპისა უნდა ყოფილიყო, თუმცა ცხადია ეს დებულება ვერ გავრცელდება სრულ ანალოგიურობაზე, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ზოგადი პრინციპების თანხვდენა და მსგავსება.

ანალოგიურ შემთხვევას წარმოადგენს მრენის VII საუკუნის ეკლესია (ნახ. 15), რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთი სათავსის, სამკვეთლოს გადაწყვეტაც ახლოსაა, როგორც ბაგავანის, ისე ბადიჯუინის იმავე დანიშნულების სივრცითი ერთეულების მოწყობის ზოგად პრინციპებთან. გვხვდება სხვაობებიც, რომლის ერთ-ერთი მთავარი მათვალსაჩინოებელიც სათავსთა აღმოსავლეთი ნაწილებია. თუ კი ბადიჯუინსა და ბაგავანში ჯვრის გეგმრების სამკვეთლო ოტახის აღმოსავლეთ კედელში ნახევარწრილული აფსიდებია მოცემული, მრენში აღნიშნულ არეებზე, სხვადასხვა ფორმის, ნიშოვანი აფსიდებია წარმოდგენილი. არსებითად კი, სათავსთა გადაწყვეტა ერთგვაროვანია - დასავლეთით მთავარ სივრცესთან მაკავშირებელი კარი, ჯვრის გეგმზე გამართული მცირე სათავსი და აღმოსავლეთით აფსიდი.

მიგვაჩნია, რომ ბაგავანისა და მრენის ეკლესიათა ანალიზი, ბადიჯუინის ნაგებობასთან კონტექსტში, გვალევს საშუალებს წინასწარული დასკვნების გაკეთებისა. პასტოფორიუმების სათვასების მხატვრული, კონსტრუქციული თუ გეგმარებითი გააზრების მეტ-ნაკლები ხვედრობა სამივე ამ ნიმუშის შემთხვევაში გვაფიქრებიბინებს, რომ საქმე გვაქვს დაახლოებით ერთ ეპოქის აღმშვენებლობასთან და გუმბათოვანი არქიტექტურის ურთიერთმსგავს გააზრებასთან. ბადიჯუინის შემორჩენილი სამხრეთი კედლის სიგრძე კი დამატებითი ფაქტორია ამ დებულების გამყარებისთვის.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ბადიჯუინი დაახლოებით ამავე დროის - VII საუკუნის აღმშენებლობას წარმოადგენს, რომლის სრული გეგმარების რეკონსტრუირებული სახეც ახლოს უნდა იყოს მრენისა და ბაგავანის ხუროთმოძღვრულ ფორმასთან.

დასკვნა. ისტორიული ბასიანის სატაძრო ხუროთმოძღვრების სამი ნიმუშის ანალიზის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება, რაც არც მთლად სრულ თანხვედრაშია რეგიონის ისტორიული „თავგადასავალთან“. საისტორიო წყაროებს შეჯერების საფუძველზე დადგენილი რეგიონის ისტორიული „განვითარება“, მისი სხვადასხვა ეტაპი, არ ასახავს ბასიანში სომხური ეთნოსის ისეთი მკაფიო და ხანგრძლივი მყოფობის ისტორიას, რაც, რეალურად, მატერიალური კულტურის ძეგლების ანალიზმა აჩვენა.

ჩვენ ვნახეთ, რომ სამი, მნიშვნელოვანი და მეტ-ნაკლებად კარგად შემორჩენილი, სატაძრო ხუროთმოძღვრების ძეგლი VII-XI საუკუნეთა დიაპაზონში ექცევა - უფრო კონკრეტულად, ორი მათგანი დაახლოებით VII საუკუნის აღმშენებლობას უნდა მიეკუთვნებოდეს, ხოლო ერთი X-XI საუკუნეების მიჯნის ნიმუშს წარმოადგენს. ასევე, ცნობილია, რომ ამავე რეგიონში განადგურებულ იქნა ათობით სომხური სატაძრო არქიტექტურის ძეგლი, რომელთაგან ნაწილის საარქივო ფოტოები შემორჩენილია და განსაღვრულია მათი დაახლოებითი თარიღი. სწორედ საარქივო ფოტომასალის საფუძველზე დათარიღებული რამდენიმე ძეგლი გვიჩვენებს, რომ ბასიანში სომხური ძეგლების არა

მხოლოდ ადრეული და განვითარებული შუა საუკუნეების, არამედ გვიან შუა საუკუნეთა ნიმუშებიც ფიქსირდება. ასეთია მაგალითად ცნობილი სამონასტრო კომპლექსი და მისი გუმბათოვანი ეკლესია ისტორიული ბასიანის სოფელ აკსიკომსში, თანამედროვე დემირდოვენში *(ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Demirdöven, PasinlerİlçesiErzurum İli)*, რომელიც გასული საუკინის ანტისომხური „მოძრაობის“ აგრესიას შეეწირა და XV-XVI საუკუნეების აღმშენებლობას წარმოადგენდა (სურ. 11). ამავე სამონასტრო კომპლექსში, გვიანი შუა საუკუნეების ეკლესიის დასავლეთით ფიქსირდება კუპელჰალეს გაცილებით ადრეული ნაგებობა, რომელიც ასევე ძლიერაა დაზიანებული და მისი შესწავლა-დათარიღება დამოუკიდებელი კვლევის საგანია.

ცნობილია სომხური საისტროიო წყაროების მონაცემები, რომლებიც ბასიანის რეგიონის რეგიონის გარკვეულ ტოპონიმებზე ადრეული შუა საუკუნეებიდანვე მოითითებს სამონასტრო სივრცეების არსებობას. უშალოდ ეს ნაგებობები სადღეისოდ არ იკითხება, თუმცა, ზოგ შემთხვევაში, ჩვენ გვხვდება იმავე ლოკაციაზე შედარებით გვიანი აღმშენებლობის კვალი, რომელიც ასევე ძლიერაა დაზიანებული ხსენებული მიზეზების გამო.

ამდენად, წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა ადრეული, გავითარებული და, შეიძლება ითქვას, გვიანი შუა საუკუნეების სომხური არქიტექტურის ძეგლები, რომელბიც ისტორიული ბასიანის რეგიონის ფარგლებში ექცევა და მისი კულტურული თუ ეთნიკური „განვითარების“ სურათს მნიშვნელოვანწილად ცვლის და ნაწილობრივ აზუსტებს კიდევაც. ცხადია, აღნიშნული წერილი ვერ იქნება ყოვლისმომცველი და ზუსტი, თუმცა ის მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს რეგიონის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის სიღრმისეულ კვლევას, რომლის შესწავლის ძირითადი ეტაპები ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. სულ რომ არაფერი ითქვას უშუალოდ სატაძრო ხუროთმოძღვრების ძირეული შესწავლის აუცილებლობაზე და მისი ყველა ნიმუშის განხილვა-ანალიზზე, კვლევის საგანს წარმოასგენს ათობით კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, რომელთა ნაწილი აშკარად საკულტო დანიშნულებისაა, მოიცავს საკმაოდ დიდი ზომის და გავითარებული ფორმის ეკლესიებს და სხვა სამონასტრო სათავსებს. უთუოდ მრავლისმომცველი და არსებითად „ახალი ისტორიის“ დამწერი იქნება, როგორც მეგალითური კულტურის ძეგლთა, ისე შუა საუკუნეების სამოსახლო და სათავდაცვო სისტემათა არქეოლოგიური შესწავლის შედეგები, ხოლო საკულტო არქიტექტურისა და კლდეში ნაკვეთი კომპლექსების სიღრმისეული შესწავლა-ანალიზი რეგიონის ისტორიის ახლებური გააზრების აშკარა წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

ბატონიშვილი ვახუშტი. (2008). აღწერა სამეფოსა საქართველოსა. *ქართლის ცხოვრება,* რ. მეტრეველის საერთო რედაქციით. თბილისი: „მერიდიანი“, „არტანუჯი“.

ჯავახიშვილი, ივ. (2012). *ქართველი ერის ისტორია.* ტომი. II. შემდგენელი ჯ. სამუშია. მ. ალუდაურის საერთო რედაქციით. თბილისი: „პალიტრა L“.

საქართველოს ისტორიის ნარკვევები. (1970). ტომი. I. გ. მელიქიშვილის საერთო რედაქციით. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.

თ. ხუციშვილი, ნ. არონიშიძე, დ. გაჩეჩილაძე, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოღუაშვილი, დ. მაისურაძე, ლ. წიქარიშვილი. (2023). *ბასიანის რეგიონის 2022 წლის საკვლევი ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თ. ხუციშვილი, ნ. არონიშიძე, დ. გაჩეჩილაძე, ბ. გოზალიშვილი, ა. იმედაშვილი, შ. კოღუაშვილი, დ. მაისურაძე, ლ. წიქარიშვილი. (2024). *ბასიანის რეგიონის 2022 წლის საკვლევი ექსპედიციის ანგარიში.* თბილისი: კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კ. შენგელია, თ. ხუციშვილი, ნ. არონიშიძე. (2023). *ისტორიული „ბასიანის“ მეგალითური კულტურა.* ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. N9. გორი: სსიპ-გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ნ. ვაჩეიშვილი. (2002). *მასალები „ნიმუშისა და ასლის“ საკითხის შესწავლისთვის ქართულ ხუროთმოძღვრებაში.* საქართველოს სიძველენი, N2. თბილისი: საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საინფორმაციო ცენტრი.

დ. თუმანიშვილი. (1993). *სიმბოლურობა შუა საუკუნეების ქართულ სატაძრო ხუროთმოძღვრებაში.* ლიტერატურა და ხელოვნება, N2. თბილისი: „რუბიკონი“.

Г. Чубинашвили. (1967). *Разыскания по Армианской Архитектуре.* Тбилиси: „мецниереба“.

А. Казарян. (2012). *Церковная Архитектура Стран Закавказъя VII Века,* Формирование и Развитие Традиции. Том I. Москва: „Локус Станди“.

А. Казарян. (2012). *Церковная Архитектура Стран Закавказъя VII Века,* Формирование и Развитие Традиции. Том II. Москва: „Локус Станди“.

А. Казарян. (2012). *Церковная Архитектура Стран Закавказъя VII Века,* Формирование и Развитие Традиции. Том III. Москва: „Локус Станди“.

А. Казарян. (2013). *Церковная Архитектура Стран Закавказъя VII Века,* Формирование и Развитие Традиции. Том IV. Москва: „Локус Станди“.

REFERENCES

bat'onishvili vakhusht'i. (2008). aghts'era sameposa sakartvelosa. kartlis tskhovreba, r. met'revelis saerto redaktsiit [Description of the Kingdom of Georgia. Life of Kartli, R. Edited by Metreveli]. Tbilisi: "Meridian", "Artanuji".

javakhishvili, iv. (2012). kartveli eris ist'oria. t'omi. II. shemdgeneli j. samushia. m. aludauris saerto redaktsiit [The history of the Georgian nation. Tom. II. Compiler J. It's work. M. General editorship of Aludauri]. Tbilisi: "Palette L".

sakartvelos ist'oriis nark'vevebi [Essays on the history of Georgia]. (1970). t'omi. I. g. melikishvilis saerto redaktsiit [Tom. I. c. Edited by Melikishvili]. Tbilisi: "Soviet Georgia".

t. khutsishvili, n. aronishidze, d. gachechiladze, b. gozalishvili, a. imedashvili, sh. k'oghuashvili, d. maisuradze, l. ts'ikarishvili. (2023). basianis regionis 2022 ts'lis sak'vlevi eksp'editsiis angarishi [Report of the 2022 research expedition to the Bassian region]. Tbilisi: Caucasus University Publishing House..

t. khutsishvili, n. aronishidze, d. gachechiladze, b. gozalishvili, a. imedashvili, sh. k'oghuashvili, d. maisuradze, l. ts'ikarishvili. (2024). basianis regionis 2022 ts'lis sak'vlevi eksp'editsiis angarishi [Report of the 2022 research expedition to the Bassian region]. Tbilisi: Caucasus University Publishing House..

k'. shengelia, t. khutsishvili, n. aronishidze. (2023) ist'oriuli „basianis“ megalituri k'ult'ura. ist'oria, arkeologia, etnologia. N9 [Megalithic culture of historical "Basian". History, archeology, ethnology. N9]. Gori: SSP-Gori State University.

n. vacheishvili. (2002). masalebi „nimushisa da aslis“ sak'itkhis shests'avlistvis kartul khurotmodzghvrebashi. sakartvelos sidzveleni, N2 [Materials for studying the issue of "sample and copy" in Georgian architecture. Antiquities of Georgia, N2]. Tbilisi: Cultural Heritage Information Center of Georgia.

d. tumanishvili. (1993). simboluroba shua sauk'uneebis kartul sat'adzro khurotmodzghvrebashi. lit'erat'ura da khelovneba, N2. tbilisi: „rubik'oni“ [Symbolism in medieval Georgian temple architecture. Literature and Art, N2. Tbilisi: "Rubicon"].

G. Chubynashvyly. (1967). Razyyskanyja po Armyanskoj Arhytekture. Tbylysy: „mecnyereba“.

A. Kazarjan. (2012). Cerkovnaja Arhytektura Stran Zakavkaz#ja VII Veka, Formyrovanye y Razvytye Tradycyy. Tom I. Moskva: „Lokus Standy“.

A. Kazarjan. (2012). Cerkovnaja Arhytektura Stran Zakavkaz#ja VII Veka, Formyrovanye y Razvytye Tradycyy. Tom II. Moskva: „Lokus Standy“.

A. Kazarjan. (2012). Cerkovnaja Arhytektura Stran Zakavkaz#ja VII Veka, Formyrovanye y Razvytye Tradycyy. Tom III. Moskva: „Lokus Standy“.

A. Kazarjan. (2013). Cerkovnaja Arhytektura Stran Zakavkaz#ja VII Veka, Formyrovanye y Razvytye Tradycyy. Tom IV. Moskva: „Lokus Standy“.



ნახ. 1. ისტორიული ბასიანის სოფელი ქეივანქი, თანამედროვე ტაშკაინაკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Taşkaynak, PasinlerİlçesiErzurum İli).
გეგმა (ანაზომი: მ. სულხანიშვილი, ნ. არონიშიძე)

სურ. 1. ისტორიული ბასიანის სოფელი ქეივანქი, თანამედროვე ტაშკაინაკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Taşkaynak, PasinlerİlçesiEr, zurum İli). ჩრდილოეთითი ფასადი, მორღვეული შესასვლელი

სურ. 2. ისტორიული ბასიანის სოფელი ქეივანქი, თანამედროვე ტაშკაინაკი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Taşkaynak, PasinlerİlçesiEr, zurum İli). ჩრდილოეთითი ფასადი, მორღვეული შესასვლელი



ნახ. 2. ყარსის თორმეტი მოციქულის საკათედრო ტაძარი, თურქეთი, ყარსი (929-942 წწ.) გეგმა და ჭრილი (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით)



ნახ. 3. მასტარას წმ. იოანეს ეკლესია, სომხეთი, ტალინის რაიონი, სოფელი მასტარა (VII ს.) გეგმა, ფასადები, ჭრილი (ა. ყაზარიანის მიხედვით)



ნახ. 4. ვოსკეპარის ღვთისმშობლის ეკლესია, სომხეთი, ტავუშის პროვინცია, სოფელი ვოსკეპარი (VII ს.)
გეგმა, ჭრილი და ფასადი (ა. ყაზარიანის მიხედვით)



ნახ. 5. ხარიჭის წმ. გრიგოლის ეკლესია, ხომხეთი, ქალაქი არტიკი, შირაქის პროვინცია, სოფელი ხარიჭი (VII ს.)
გეგმა, ჭილი, ფასადი და სარკმლის თავსართი (ა. ყაზარიანის მიხედვით)



ნახ. 6. სუხბეჩის ეკლესია, თანამედროვე თურქეთი, ისტორიული ტაო (V-VI სს.)
გეგმა (ე. თაყაიშვილის მიხედვით)



ნახ. 7. ეჩმიაძინის საკათედრო ტაძარი, ქალაქი ვაღარშაპატი, არმავირის პროვინცია (VII ს.)
გეგმა (ა. ყაზარიანის მიხედვით)



ნახ. 8. ბაგავანის წმ. თეოდორეს ეკლესია, თანამედროვე თირქეთი, ყარსის პროვინცია, სოფელი კილიტაში (VII ს.)

გეგმა, ფასადი, ჭილი, სარკმლის თავსართი და კარნიზი (თ. თორამანიანის მიხედვით)



ნახ. 9. ისტორიული ბასიანის სოფელი ჰინცკი, თანამედროვე კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kurbançayırı, PasinlerİlçesiErzurum İli).
გეგმა (ანაზომი: მ. სულხანიშვილი, ნ. არონიშიძე)

სურ.3. ისტორიული ბასიანის სოფელი ჰინცკი, თანამედროვე კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kurbançayırı, PasinlerİlçesiErzurum İli).
ხედი, სამხრეთ-ღმოსავლეთით, მორღვეული სამხრეთი შესასვლელი





სურ. 4-5. ისტორიული ბასიანის სოფელი ჰინცკი, თანამედროვე კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kurbançayırı, PasinlerİlçesiErzurum İli). ინტერიერი, სამხრეთი და ჩრდილოეთი მკლავები, მორღვეული შესასვლელები

სურ. 6. ისტორიული ბასიანის სოფელი ჰინცკი, თანამედროვე კურბანჩაირი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Kurbançayırı, PasinlerİlçesiErzurum İli). დასავლეთი ფასადი, დასავლეთი სარკმლის მორღვეული პირი



ნახ. 10. აშტარაკის კარმრავორის ღვთისმშობლის ეკლესია, სომხეთი, ქალაქი აშტარაკი არაგაწოტნის პროვინცია, (VII ს.)
გეგმა, ჭრილი, ფასადები, სარკმლის თავსართი და კარნიზები (ა. ყაზარიანის მიხედვით)



ნახ. 11. სამწევრისის წმ. გიორგის ეკლესია, ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამწევრისი (VII ს.)
გეგმა (ნ. სევეროვის მიხედვით)



ნახ. 12. ჩახმახის (კამხუტი) ეკლესია, სომხეთი, შირაკის პროვინცია, სოფელი კამხუტი (VII ს.)
გეგმა (ვ. გრიგორიანის მიხედვით)



ნახ. 13. ნორკიანკის ეკლესია, სომხეთი, ქალაქ იეგენაძორის სიახლოვეს (VII ს.)
გეგმა (ა. ყაზარიანის მიხედვით)

სურ. 7. ისტორიული ბასიანის სოფელი ბადიჯუინი, თანამედროვე ესენდერე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Esendere, PasinlerİlçesiErzurum İli).
საერთო ხედი აღმოსავლეთით, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი კედლის ფრაგმენტები

სურ. 8. ისტორიული ბასიანის სოფელი ბადიჯუინი, თანამედროვე ესენდერე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Esendere, PasinlerİlçesiErzurum İli).
ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩამოშლილი სადიაკვნე და საკურთხეველი

სურ. 9-10. ისტორიული ბასიანის სოფელი ბადიჯუინი, თანამედროვე ესენდერე, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Esendere, PasinlerİlçesiErzurum İli).
სამკვეთლო, ხედი აღმოსავლეთით



ნახ. 14. ბაგავანის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, თურქეთი, სოფელი ტაშტეკერი (VII ს.) გეგმა (გ. ჩუბინაშვილის მიხედვით)



ნახ. 15. მრენის საკათედრო ტაძარი, თურქეთი, ყარსის პროვინცია (VII ს.) გეგმა, ჭრილი, ფასადი და აქსონომეტრიული მოდელი (თ. თორამანიანის მიხედვით)

სურ. 11. საარქივო ფოტო, ისტორიული ბასიანის სოფელი აკსიკომსი, თანამედროვე დემირდოვენი, ფასინლერის რაიონი, ერზურუმის პროვინცია (Demirdöven, PasinlerİlçesiErzurum İli).

გუმბათიანი ეკლესია, დანგრეული კუპელჰალე, სამონასტრო ნაგებობები და გალავანი საერთო ხედი სამხრეთ დასავლეთიდან (XV-XVI სს.)